თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №6184690

ნომერი: AR1929780

თარიღი : 21.10.2022

გაცემის თარიღი : 28.10.2022

გაცნობის თარიღი : 28.10.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, N 188ე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კირკიტაძე პ/ნ 01013012659
- თბილისი პეკინის გამზ. N 27

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 21 ოქტომბერს №AR1929780 განცხადებით მომართა გიორგი კირკიტაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 30 აპრილის №5392228 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 30 აპრილის №5392228 ბრძანებით, №01.12.01.003.235 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალ ადგილიანი ავტოსადგომის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 27 მაისის №5415294 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 27 მაისიდან 2022 წლის 27 მარტის ჩათვლით.
სამსახურის 2022 წლის 18 მარტის №5848482 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2021 წლის 27 მაისის №5415294 ბრძანებაში მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 30 აპრილის №5392228 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და შეთანხმებული პირველი სართულის გეგმის ჩანაცვლებას წარმოდგენილი ამავე სართულის გეგმით.
სამსახურმა დაადგინა, რომ 2021 წლის 2 მარტის №AR1807334 განცხადებით, მოთხოვნილ იქნა მრავალ ადგილიანი ავტოსადგომის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. სამსახურის 2021 წლის 30 აპრილის №5392228 ბრძანებით, სამსახურში წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის, მათ შორის გეგმების, ფასადების, ჭრილებისა და ფოტომონტაჟის საფუძველზე, შეთანხმებულ იქნა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, ამჯერად წარმოდგენილი გეგმის მიხედვით ირკვევა, რომ შეცვლილია აღნიშნული გეგმა და არ შეესაბამება შეთანხმებულ ფასადებსა და ჭრილებს. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ხდება სამსახურის 2021 წლის 30 აპრილის №5392228 ბრძანებით შეთანხმებული გეგმის ცვლილება, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და სამსახურის 2021 წლის 30 აპრილის №5392228 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.